ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 15

დაბა ხულო 01 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მეკეიძეების საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის თემურ მიქელაძის სახით და მეორე მხრივ ი.მ. ,,თენგიზ ბოლქვაძე“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი თენგიზ ბოლქვაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: საკანცელარიო საქონელი (CPV 30190000).
1.2. სამკაულები, საათები მონათესავე ნივთები (CPV 18500000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთას) ლარს.
2.1.1. საკანცელარიო საქონელი (CPV 30190000)- 300 (სამასი) ლარი
2.1.2. სამკაულები, საათები მონათესავე ნივთები (CPV 18500000)- 200 (ორასი) ლარი
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია დაბა ხულო

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.
4.4. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონლის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სხვა პირობები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
8.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეთათვის.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ სოფელ მეკეიძეების სკოლა
მის: ხულო, სოფელი მეკეიძეები
ს/კ 248053840
ს.ს. „ლიბერტი ბანკი“
ა/ა _____
დირექტორი: თემურ მიქელაძე

მიმწოდებელი:
შპს ,,ქემა“
მის: დაბა ხულო
ს/კ 61009006669
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ა/ა GE75OLB01121171408560000
დირექტორი: თენგიზ ბოლქვაძე